

ანო, გლეხები მოუთმენელად მოე-
ლიან ამ საქმის გადაწყვეტასაო.

□ იმერეთის ერთი სოფლიდამ
გვეყრენ, რომ ამას წინათ იქ
ერთს გლეხ-ქმარს თავის ცოლი
მოუკლავს ცულობით და სიღვდრის
მოკვლასაც რომ აპირებდა, ამ დროს
დაიჭირესო. აი, როგორ ყოფილა ეს
საქმე: გლეხი ჩასიძებული ყოფილა
თავის ცოლის ოჯახში. მთხი-ხეთი
წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი
მშვიდობიანად და ერთმანერთის სი-
ყვარულით ცხოვრობდნენ თურმე, სა-
მი შეილიც ჰყენდათ. მაგრამ ამ უკა-
ნასკნელ დროს ქმარმა შენიშნა, რომ
ცოლი ცუდ ყოფიქცევას იქვრს, სა-
ყვარულთან დაიარებაო; ესევე სისუს-
ტე შენიშნა თურმე თავის სიღვდრ-
საც; ამის თაობაზე რამდენჯერმე ჩხუ-
ბი მოუყიდათ და ორჯერ სცემეს
თურმე ამ კაცს. ბოლოს მოთმინე-
ბილამ გამოვიდა, მიატოვა ცოლიც
და იმის ოჯახსაც და მთუთაისში წამო-
ვიდა. მზაზე ვილაც გლეხებს უამბო-
თურმე თავის გარდასავალი; იმათ
შეარცხენეს: როგორ დაგებრყვეს
მაგრე დედა-კაცებმა? მამრანებული
ქმარი ისევე უკან დაბრუნდა, მოვიდა
შინ, აილა ცულობით და ორჯერ დაპ-
კრა თურმე თავის ცოლს და იქვე
უსულთ მიაწვინა; შემდეგ როცა
სიღვდრსაც გამოვიდა, ხალხი შეგ-
როვდა და დაიჭირეს.

ბლენი ამ ჟამად მუთაისის საპყრო-
ბილიშია თურმე და ამ საქმის თა-
ობაზე გამოძიება დანიშნული.

„დროების“ კორექტიონი

დ. ზუგდიდი, 10 მაისს.

თუმცა დაბა ზუგდიდიდამ თქვენს
გაზეთში ძალიან იშვიათად იწერებინ
ხოლმე; მაგრამ ეს კი არ უნდა იფი-
ქროს კაცმა, რომ აქ ყურადღების
ღირსი ამბები არ ხდებოდეს. ზუგ-
დიდი არცერთ სხვა ჩვენ დაბას და
ადგილებს არ ჩამოუდგება უკან—არც
ეჭრობაში და არც სხვა რასმეში...

აქ ვაქრობს მთელი სამურზაყანო,

რებით შეპყრობილ კაცსაო? ამ ყრი-
ლობაში ერთი პატიოსანი მღვდელი
ერთა, რომელიც ყველაზედ უფრო
სწუხდა, თუ კი წარმოიდგენდით მი-
სი სულიერი მდგომარეობის პირისა-
ხეზედ გამოხატულებას... რასაკერ-
ველია, ახლო ქალაქში გაგზავნეს
კაცები ექიმებისთვის...

ამას გარდა მეორეს დღესე ს.
მ—ში გაგზავნეს კაცი ერთს ბე-
ბერ მღვდელთან, რომელიც, რო-
გორც ამბობდნენ, შეშლილებს —
ტინ გადამბრუნებულებს არჩენს უ-
ფასოთ თავის სულის გულისათვისო.

შეგდური ლუარსაბი ორს კაცს აქეთ-
იქილამ ეჭირათ მაგრა გაქანჯული,
რომ არსად გაგვექცესო. შინ იცის,
რატომ არ ლაპარაკობდა ეს ჩვენი შე-
ბუღბუღებული ავათმყოფი: კითხვას
რომ რაზედმე მისცემდი, ის მოჰყე-
ბოდა იქით-აქეთს ქვეყნიურს ამბა-
ვებს...

რამდენიმე ნაწილი აფხაზეთისა და
რასაკერველია, მთელი ზუგდიდის
უზენდი, რადგანაც ეს ქალაქი შე-
გულ ალაგას სძევს.

ამას წინათ აქ ცოტა აყალ-მაყა-
ლი იყო შესახებ ქალაქის გარდატა-
ნისა: ზოგიერთებს ჰურთ გარდვი-
დეს ქალაქი ს. ტაისში, რომელიც
ზუგდიდის მახლობლად არის; მომე-
ტებული ნაწილი აქაურებისა ამ ჰაზ-
რის თანხმა არ არის, განსაკუთრე-
ბით ის პირები, რომელთაც აქ ქვის
შენობა აქეთ.

ძალიან ბევრ ახირებულ ამბებს ნა-
ხავს აქ უცხო კაცი: რამდენიმე კვი-
რის წინათ სხვაგან ვიყავ და ზუგ-
დიდში დაბრუნება: ქალაქში რომ
შემოვიღო, დაინახე დუქნების სარ-
თულზედ (სახურაზედ) მახლობარე
კაცები. მრთს მედუქნეს ვკითხე: რას-
თვის სხ დახართ სართულზედ—მეთქი?
მიპასუხა, რომ ჩვენს დუქნებს ვყა-
რათლობთო. ციციხეს გვიკიდებენო.
მართლაც, შემდეგ მითხრეს, წინა
ლამებში დუქნებისათვის ვილაკებდნ
მოეკიდებინათ ციციხი და ამისაგან
დაფრთხობილი ხალხი ღამე უყარა-
ულედა სახურაზედ.

ბაცნობებთ მეორე შემთხვევას,
რომელიც საზოგადო ყურადღების
ღირსია: ერთი ახალ-გზდა თორმეტი
თუ ცამეტის წლის ბავშვი ამას წი-
ნათ ხილებ-შეკრული ჩამოატარეს
ქალაქში; ყმაწვილი მწარეს ცრემლით
სტიროდა და თან ორი ქალი და
ხალხი უკან მისდევდა. ბავშვი, რომ
თურმე ეს ყმაწვილი პატარაობილამ
ძიძასთან ყოფილა გაზარებული და
დღეს ცამეტის წლის კაცი მშობლებს
მოუკითხავით, მაგრამ, რადგანაც ის
თავისი გამზდელის მეტს დედათ ვე-
რაგის სცნობდა და არც სიყვარული
ჰქონდა საკუთარის მშობლისა, ამი-
სათვის ნებით არ მიდიოდა და ძა-
ლით, ხილებ-შეკრული მიჰყვდათ...

ამისთანა შემთხვევები აქ ხშირად
ხდება, არამც თუ თავადებში, არა-
მედ დაბალ ხალხშიაც. მიქვენ მით-
ხარით: რა სიყვარული და პატივის-

ბოლოს მღვდელი მოვიდა. მოა-
ტანინა სტოლი შემოიღის წინ და
ზედ დასდო ჯვარი, სახარება და ღი-
ლი კურთხევანი. შემდეგ გაიკეთა
კისერზედ ოლარი, დაიწერა სასოე-
ბით პირჯვარი ოთხი-მხრივ და დაიძა-
ხა: „სურთხელ არს ღმერთი ჩვენი
ყოვლადვე აწდა მარადის...“ და მეო-
რე მღვდელმაც დააყოლა: „ამინ,
დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, ღი-
დება შენდა, მეუფეო ზეცათაო...“ და
პირველმა-მღვდელმა იწყო სახა-
რების იმ ალაგის კითხვა, სადაც ბა-
დარინელ ქვეყანზედ არის ლაპა-
რაკი და შემდეგ წაიკითხა ოთ-
ხი სახარება სულ გიჟებზედ. შემდ-
გამ დიდი კურთხევანი გახსნა და
სულ „გაფუცებს“ კი იძახდა და არ
ვიცი, რა იყო და რა-არა. ამ დროს
ლუარსაბი მღვდელს უშვერის სიტ-

ცემა უნდა ჰქონდეს მშობლებისა იმ
შვილებს, რომელნიც ცამეტ-თხუთ-
მეტ წლამდე სხვასთან არიან გაზა-
რებული და თავიანთ მშობლებს
არც კი იცნობენ?..

ს. წ—ლი

წამილი რედაქტორთან

—
შუ რედაქტორო!

მს წერილი შეეხება ისეთ პირთ,
რომლებთანაც შეიძლება ცოტა-
ოდენი ადგილი გადაეღეთ გაზეთში;
ამისათვის გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს
წერილი.

თითქმის ყოველ ჩვენი გაზეთის
ნომერში შევხვდებით სტატიას, რო-
მელშიაც უჩივიან სოფლის ექიმებს,
მკითხავენ და სხ., რომ ისინი ატყუ-
ვილებენ და ფცქენიან ხალხსა და
სხვ. მეც თანახმა ვარ ამისა, მაგრამ
არ შემიძლიან არა ესთქვა ერთი წი-
ნა-ღმდგვიც. ე. ი. არ გავმართლო
და, ზოგიერთ შემთხვევებში, დოქ-
ტორებზედ მალაც არ დავყენო
სოფლის ექიმები, რომლებთაც ისე
უბრალოთ უყურებენ. სხვა რომ არა
იყოს რა, ერთმა ყმაწვილი კაცის
სიკვილიმან (ძალათ სიკვილიმან) უფ-
რო აღძრა ჩემში ეს სურვილი და
ქომაგობა. რასაკერველია, მე არ ვამ-
ბობ ყველა იმ ტყუილ ბრძენ-ყლა-
პებზედ, რომლებიც ათი ათასობით
არიან და იკლებენ სოფლებს, — მე
ვამბობ ზოგიერთებზედ და განსაკუ-
თრებით თურმანძიებზედ.

მსენი არიან ისეთი შესანიშნავი
ექიმები, რომ სწორეთ ღირსნი არიან
სახელი დაიმსახურონ ჩვენში. ამათ-
ზედ არავის არ შეუძლიან სთქვას,
რომ ესენი ატყუვილებენ ხალხს, ვე-
რაგინ ერთ მაგალითს ვერ მოიყვანს,
რომ იმათ ვინმე მოეკლათ, ან ვერ
მოერჩინოსთ, თუ ხელი მოუკიდათ;
წინაღმდეგ შემთხვევაში, ესენი ბევრს
სარგებლობასაც აძლევენ ხალხს, და
არ გადაურჩებათ მოურჩენელი არა
გვარი გარეგანი ავათმყოფობა. მარ-
ტა მე მოგიტელით რამდენიც გინ-
დათ მაგალითებს, რომ თურმანძიებს

ყვებით აგინებდა დედას, მამას და რაც
კი გასჩენოდა მღვდელს: „ღვდე-
ლო... იქით გამეცალე... თო...
თორემ ერთს ისეთს კეტს დაცხებ
მაგ მოკუზულ ზურგზედ, რომ ვაი-
ვას ხმით მიბზოდე... შინსიკენ...
ღვდლო, მამეცალე მეთქი...შე...“

×

ღვდელი კი გულ-გრილათ ჰკით-
ხულობდა და უყვიროდა: „ბეფუცებ,
გაფუცებ სახილითა უფლისა იესო
ძრისტესითა! ბამოვედ, გამოვედ, სუ-
ლო არა წმინდაო, დაბუღებულო
გვაშა შინა ხატისა ღეთისასაო...“ ამ
გვარ სიტყვებში ნაკლულევენება არ
ეცუობოდა ჩვენ პატივსაცემელს მღვ-
დელს. ამ სიტყვების დროს შეშლი-
ლი შეკრთა და, როდესაც მღვდელმა
ფრთხილათ მიუტანა ჯვარი და სხა-
რება სამთხვეველად, დინჯათ წამო-
და, ერთის სასოებით გამოისახა პირს

მოურჩენიან ისეთი ავათმყოფები, რო-
მლებაც უშთავრესადო ქაღალტებზედ
მოარჩინეს.

სამიოდე მაგალითს მოგიყვანთ, საი-
დამაც ცხადათ გაიგებთ, რომ იმათ
ზედმიწვენიით იციან თავიანთი საქმე
და ზოგჯერ დოქტორებსაც სჯობიან:

1) მე მტკიოდა მარჯვენა ხელი
„წითელი ქარით“, როგორც იციან
ჩვენი. (მასიებული, გაწითლებული
და გაცხელებული). ჯერ მწამლობდა
ორი-სამი დოქტორი მლადიკავაზის
სამკურნალოში, მერმე იქვე ლაშვი-
ტალში, სადაც უფრო გამიძნელეს,
გამიჭრეს და, რომ ვერა მოუხერხესრა,
მოჭრას მიპირებდნ ბოლოს ქალაქის
სამკურნალოში და საავთმყოფოშიც
მწამლობდნენ სამი-ოთხი დოქტორი
ორკირაა, მაგრამ ისე თქვენი მტერი,
მე რომ საქმე მიყვეს! ისე გამიხადეს
ხელი, რომ სასოწარკვეთილებაში ჩა-
ვარდი. მერე მიემართე შორაპანში
თურმანძის, რომელმანც ნახვისათა-
ნავე იმედი მომცა, რომ უთუოდ
მოძირჩენს ერთ თვის. შორამის ფუ-
ლი მთხოვა სამი თუმანი და დანიშ-
ნულ ვაღამდე მოძირჩინა ხელი ისე,
რომ ესთა ყე ლაფურზედ ვხმარობ.
თუ თურმანძიე არა, ცალ ხელა და-
მგერქმეოდა!

2) აქ, ბორში, ერთ ყმაწვილს
ცალი გვერდი სულ მომპალი და მოჭ-
მული ჰქონდა „მჭამელი“. ბერი
ფულები გადაუყარა პატრონმა დოქ-
ტურებს, რომლებმაც „ცალი ფეხი
სიკვილიში ჩაადგმევენეს“ საწყაოს;
მაგრამ თურმანძის წყალობით ესთა
სადათ არის ეს ახალგზდა ყმაწვილი.

3) მრთს კიდევ „მჭამელი“ ჰქონ-
და ცალი ფეხი მოჭმული. დაყენეს
დოქტორი, რომელიც ვიზიტში სამ-
სამ მანეთს იღებდა და თვე ნახევარს
განთავისუფლა ავათმყოფი. უდრო-
თ მოაშორა ამ ქვეყნის დაეიდარა-
ბას! თურმანძიე რომ მოეყვანათ,
ფულიც უფრო ცოტა დაეხრჯებო-
დათ, და ავათმყოფიც უთუოდ მორ-
ჩებოდა, რადგან ამის ავათმყოფობა
ჩემს ავათმყოფობაზედ უბრალო იყო.

ჯვარი და მოწწებითა სიძაბლით
ემთხვია. ამ შემთხვევამ მთელი იქ
მყოფნი გააკვირა და ამბობდნენ: „რა
მალე დაატყვიანა ამ მოხუცებულმა
ღვდელმაო!“

ღვდელი წაიდა და ავათმყოფმა
ისევე აუშვა ჯატყვები და მოჰყვა ისევე
დაუკითხავ უთხოვენლად ფქვას.

მრთი ახალგზდა დასევს ავათმყო-
ფის ოთახში, ხელში ქალაღ-კალა-
მი მისცეს და უთხრეს:—რაც ილაპა-
რაკას, სულ დასწერო! ნახევარი
სათი ბლაჯა ამ ყმაწვილმა ქალაღ-
ზედ და ბოლოს აი რა წაიკითხა:

„საფრანგეთში დავდივარ და მინ-
და მერმანიაში გადავიდი... მინდა წა-
სვლა... მქ, ისრეთი ლამაზი ქალი
მყვანდა გვერდით, რომ მეტი არ...
შეიძლებოდა! „წოთა“ იქ მყვანდა;
„ბაქალი“ და „სუქაფცხენი“ ხომ
განუშორებლად იყენენ ჩემთან...“



საბაასი

უ. ლ. პატრიარქის უკრაინა-საონდოციაზა

ამათ გვარმა, როგორც დიდებმა, ისე პატარებმა, იციან ეს ექიმობა ქალებს არ ასწავლიან, — „ისინი გათხოვდებიან და სხვებსაც ასწავლიანო“.

ბევრი ამათი გვარი დეჯილდობებულად არიან თავიანთი ხელობით... მე ურჩევ ყველას, ვისაც რამ ეტყინოს (მე მართა გარეგან ავთაყოფობაზედ ვამბობ), მურმანდებს მიმართო! — ვარწმუნებ ყველას, რომ არ იქნება შემცდარი.

თეოდ. ძანდელაძე

მ. ზარი, 13 მაისი.

რუსეთი

ქაზანიდამ ქალაქს გაუგზავნია პეტერბურღში დეპუტაცია, რომელსაც მინდობილი აქვს, უმაღლეს მთავრობას სთხოვოს, რომ ციმბირის რკინის გზა სამხრეთით გაიყვანონ, ზედ ამ ქალაქზედ. დ. პუტუაიაში, სხვათა შორის, არიან: ქაზანის ქალაქის გამგეობის თავი, იქაური თავდაზნაურობის წინამძღოლი და ზოგი სხვა წარჩინებული პირნი.

ქ. მოსკოვის „შწყებებში“ იწერებიან, რომ მთავრობას, მომეტებული სლოტობის მოსახლაბელად, განზრახვა აქვს, ისეთი კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც სოფლებში სამიკიტნოების გახსნის უფლება მხოლოდ იმ პირებს ექნებათ, ვისაც სოფლის საზოგადოება ნებას მისცემს; თუ მთელი სოფლის ყრილობა ნებას არ მისცემს, არაფერ არ შეუძლია იმ სოფელში სამიკიტნოს გახსნა და არაყის გაყიდვა.

ქ. მრთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ ქაზანდ ყვზამენებია დანიშნული იმ საქალებო პურსებში, რომელიც პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიასთან არის

გახნილიო. როგორც იცის მკითხველმა, აქ კურს შესრულებულ ქალებს ნასწავლი ბებოების დიპლომს აძლევენ და ქალების ავთაყოფობის ექიმობის უფლებაც აქეთ. ეს გაზეთი ამბობს, რომ, როგორც წინა წლებში, წელსაც ამ კურსებში მოსწავლე ქალები მშვენიერად იჭერენ ევზამენსაო და იმითი პროფესორები ძალიან კმაყოფილნი არიანო.

ქ. ღონის მიწის ადგილობრივ მთავრობას განათლების სამინისტროში პროექტი წარუდგენია, რომ ისეთი სამასწავლებლო სემინარია უნდა გაიხსნასო. საიღამაც ჩვენი სასოფლო შკოლებისათვის მასწავლებლის მოზადება შეიძლებაოდესო.

ქ. შინაგანი საქმეების მინისტრს დაუმტკიცებია მოსკოვის ტრაქტირების მოსამსახურეებისაგან წარდგენილი პროექტი ისეთი საზოგადოებისა, რომლის მიზნათ იქნება: ტრაქტირების მოსამსახურეებისაგან ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოებისა და კასის შედგენა.

უცხო ქვეყნები

საზრანბეთი. თფილისში მოსული გაზეთებიდამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის შევიტყუეთ, რომ 5 ციონა-ლური კრება გახსნილა 1 მაისს. დეპუტატები პირველ სხდომაზედ ძალიან ნაკლებათ იყვნენო, ჯერ პროცინციებიდამ არ დაბრუნებულანო.

მარცხენა მხრის ყველა დეპუტატებს ყველას თანხმობით გადაუწყვეტათ, რომ ეკადონ 15 აგვისტოს ეაკაცია დანიშნოს კრებამ და შემდეგ მხოლოდ იმისთვის შეიკრიბნენ რომ სამუდამოთ დაშალონ კრება და ახალი ამორჩევები დანიშნონ როგორც საზოგადოთ დეპუტატების აგრეთვე სენატის წევრების ამოსარჩევათ.

ღმინაობის ატეხის თაობაზე ახლა თითქმის სრულიად არა ისმისრა. ქველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ მოკლე ხანში საფრანგებთსა

ხუთი სკიერი სულ ოქროს წკრილა ფულით მქონდა საესე... მთელ ქალაქში იძახდნენ: ამ ქართველს ვინ მისცა ბედი, რომ ამისთანა ქალთან ყოფნის ღირსი გახდაო...“

ამისთანა ნ. წყვეტ-ნაწყვეტი და უკავშირო ლაპარაკით ყველას თავი მოგეწყინა და წამოვედით შინსაკენ. იმ მღვდელს-მსკულაპს ეთქვა იმ დაწერილზედ: „ეს სულ ეშმაკების სახელებია და ეშმაკისაგან ჩაგონებით ნალაპარაკევიანო“, აელო და დაეწვა. ლედელმა სამჯერ-ოთხჯერ კიდევ წაუკითხა თავის კარბადინებში და გაემგზავრა თავის სოფლისაკენ.

მკითხავსაც აკითხვიანეს მინ არ იცის, რომ უმკითხავოთ არა გარიდგებარა ამისთანა შემთხვევებში ჩვენ ქართველობაში!...“

მკითხავს ებრძანებინა: „მქვენში

მზის ამოსავლისკენ ტყიან გორაზედ წმინდა ბიორგის ეკკლესიაა და იმის მიწზეთ არისო; წყალობით მიახედვისათვის ითხოვს ერთ ხარს ზეარათ, ორ ცხვარს დღეობას, სამი კვირის განმავლობაში ღამის თევას, სამს თითო მანეთიანს კელაპტარსა და დღეობას რიგინას შესაწირავსაო...“

შეშლილს ერთს კვირას თვალი არ მოუხუჭნია, სულ ლოგინში იყო წამომჯდარი და ლაპარაკობდა ვინ იცის, რას. ამნაირმა ბუნების წინააღმდეგმა მდგომარეობამ წმინდა სკელეტი გახადა უიმისოთაც სუსტი კაცი. ძალაქიდამ დასაძინებელი წამალი ჩამოატანინეს და სამ საათში ერთჯერ უნდა დაეღვეინებიათ შეშლილისათვის და რადგან ერთმა მიღებამ ეწრა გააწყურა, სამი მიღება ერთად დააღვეინეს; მარამ მაინც არა ეშველარა! მღვდ-გმირმა უფრო მოუმატა

და მერმანის შუა არაფითარი ომი და უკმაყოფილება არ შეიძლება მოხდეს, რადგან არც ერთი მხარე არ ეძებს მაინც-და-მაინც ჩხუბის ატეხას. მრთს ნემცეურს გაზეთში ბასმარკის სიტყვებია მოყვანილი ამ საგნის თაობაზე: ვილაცას ეკითხა იმი თვის, ამბობენო, რომ ერთამც თქვენ საფრანგეთს უპირებთ ხელ-მეორეთ ომის ატეხას და უპირებთ იმ განზრახვით, რადგან იცით, რომ საფრანგეთი ახლა სუსტია და ადვილად შეგიძლიანთ დაამარცხოთო. მართალია ეს თუ არაო? ამაზე როგორც, ამბობენ, თ. ბისმარკს უთქვამს: ეს ამასა ჰგავს, რომ მე ახლავე, მოვიდლოშო მოკვლა ტულმინს, რომელიც ჩემი მოკვლის განზრახვისათვის 13 წლით საპყრობილეთში ჩასვეს, და რომელმაც, საპყრობილიდამ განთავისუფლების შემდეგ, შეიძლება კიდევ განიზრახოს ჩემი მოკვლა.

ამნაირად ახლა არაფერი შიში არ არის, რომ ამ მოკლე ხანში მე-როპაში ომიანობა ატყდეს.

მსპანი. ნავარა ერთად-ერთი პროცინცია არის ახლა მსპანიში, სადაც ღონ-ძარლოსის მომხრეები ცოტათი გამაგრებულნი არიან. მაგრამ, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, ახლა აქც ძალიან ცუდათ მიდის თურქე ამათ საქმე. შრთიერთშორის გაუწყვეტელი ბრძოლისაგან თავმოებვრებული მცხოვრებლები ძალიან გაბრაზებულან, ხარჯს აღარ ასლუყენ და ატეხის ჯარებს და პირ-და-პირ აცხადებენ სურვილს, რომ ღონ-ძარლოსის მმართველობას დაემორჩილოთ. ღონ-ძარლოსის ჯარებიც ხშირად აღარ ემორჩილებიან თურქეთთან უფროებს და მმართველობის ჯარის მხრისაკენ გადადიან.

იტალია. ხლობის წარმომადგენლების პალატაში დაუწყიათ სჯა იმ ხუთ პროექტზე, რომელნიც მმართველობას წარუდგენია დასამტკიცებლად და რომელნიც იტალიის სამხდერების გამაგრებასა და ჯარის შევიარალებას შეეხები.

ჩალაბულა ლაპარაკს. ამნაირ მდგომარეობაში იყო ერთის თვის განმავლობაში და მერზე თან და თან საიქაუსკენ იწყო მიბრუნება.

შურადლების ღირსი მხარე ამ შემთხვევაში: შემლამდის ლუარსაბს ლედლები ისრე უყვარდა, რომ მეტი არ შეიძლება; ამის შემდეგ კი თვალიდგან ამოიღო და მათი დანახვა ემკვლელებოდა!...

იმ ორს ნაყმევს, რომელთაც ის ჰაერში მოგზაურობის დროს ეჭირათ გაქანჯული, სისხლის შრობა დაუწყო; ერთი მათგანი, რომელიც იმის მამულზედ ესახლა, მაშინვე აჰყარა და გააძევა თავის არე-მარედამ. როდესაც ამ გლეხს სახლის აუეჯეულობა გადაქონდა ურპით, თავის

გაზეთის „დროების“ მე 39 №-ში წავიკიხეთ უ. პეტრიაშვილის სტატია შესახებ რაჭის მხარისა და განსაკუთრებით ჩვენი ომის სასწავლებლისა და გესურს ესთქვათ ამაზე ორიოდ სიტყვა.

აი როგორ იწყებს ის თავის წერილს: „ჩვენი რაჭა დღემდის ისეთი მივარდნილ მიყრუებული და ხელუხლები ქვეყანა (?) იყო, როგორც ახლა სუანეთია. მაგრამ ამ უკანასკნელ წელიწადებში თან-და-თან აჩნდება განათლების კვალი,“ მისთვის რომ „აქაური შკოლები თან-და-თან მრავლდებიან.“

როდის იყო რაჭა სხვა მხარეებზე უფრო მივარდნილ-მიყრუებული ადგილი და ან რაში ჩამორჩა ის უკან სხვა იმერეთის მხარებს? რა სფუძვლით ადარებს ის რაჭას სუანეთსა, მაშინ როდესაც პირველი, ე. ი. რაჭა, არასოდეს არ მდგარა არც გონებით და არც ზნეობითის მხრით ისეთ დაბალ ხარისხზე, რომელზედაც ჰადგანან უკანასკნელი? რაჭას და სუანეთს შუა ყოველთვის ყოფილა და ახლაც არის ისეთი განსხვავება, როგორიც სხვა იმერეთის მხარებსა და სუანეთს შუა ყოფილა.

რა განათლების კვალი დაჩნდის ჯერ სასოფლო შკოლებმა რაჭას? რამდენი განათლებული და გონება გახსნილი ახალგაზდა ყმაწვილი ეახები ან ქალები შექმინეს მას? როგორ ჰფიქრობთ, უ. პეტრიაშვილო, განათლება და მისი კვალის დარჩენა ხალხში ისეთი საადვილო საქმე ხომ არ გგონიათ, როგორც პურის ნატეხი აიღოთ, ჩაყლაპოთ და მით საქმე გათავდეს!...

მართალია, ადგილობრივი მმართველობის შეგონებით და ხალხის მეცადინეობით, რაჭაში ისეთი სადგომები არის გამართული სასოფლო კანცელიარიებისა და შკოლებისათვის, ახალს ბინაზედ, ერთი ტომარა წმინდა ხორბალი სულ ერთიანათ დაეხნა (ისიც თიბათვის თვეში, როდესაც პური მამასისხლოთ ისყიდება); და ამაზედ სიხლ-ამღერეულმა გლეხმა წყველა-კრულვით ამოიღო ლუარსაბი, რომელიც ამ დროს ბალკონზედ იჯდა და კარგათ ესმოდა გლეხის თავში ცემა. . . .

ს. იგოეთი

შამოტჩილსად მსთხოვით იმ ჩვენს ხელის-მოგზაურებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლავანდელი გაზეთის უშლი ჯამარ შამოტჩიანიოთ, რაც შეიძლება მალე შამოტჩიანონ.

რომ სხვა იმერეთის მახრებში ჩვენ ჯერ ამას ვერ ვხედავთ; ამასთანავე შკოლებიც ბევრგან არის გამართული აქ, ვიდრე სხვაგან, გარდა მუხრანისა, ვგონებ მასწავლებლებიც ზოგიერთ ამ შკოლებში გულს-მოდგინეთ მეცადინეობენ და სწავლაც ურიგოთ არ მიდის; მაგრამ ჯერ ჩვენ განათლებას და მის კვალს რაჭაში ვერ ვხედავთ. არც კი შეიძლება, რომ ეს ჯერ მოვიხილოთ, მისთვის რომ ეს მესამე წელიწადია, რაც აქ სასოფლო შკოლები გაიხსნა და ისიც არა ერთად, თან-და-თან მატულობს შკოლების რაოდენობა და ამ დროს განმავლობაში, ჩვენ კარგათ გვესმის, სასწავლებელი დიდ წარმატებას ვერ იზამს. ლმერთმა ჰქნას, რომ შემდგომ რამოდენიმე ათის წლის განმავლობისა მოეტანოს სასოფლო შკოლებს ჩვენი მხარისათვის ცოტათი ნაყოფი და ჩვენ ამას დავჯერდებით.

„შურო სასამოვნო და სახინარული რაჭისთვის ის იქნებოდა, განაგრძობს უ. პეტრიაშვილი, რომ მის სასწავლებელს ფეხი არ მოსტეხოდა და სასოფლო შკოლებისათვის წინ წავსწრო; მაგრამ, საუბედუროდ, უკანაც ვეღარ მისდია. ამ სასწავლებელში თითქმის სულ აზნაურების შეილება სწავლობენ, მაგრამ, რომ ვეღარ ხედვენ იქ ხეირს, სოფლის შკოლებში შედიან.“

ძალიან გესურს შეეიტყუოთ: როდის ვაჩნრია ჩვენი სასწავლებელი უფ. პეტრიაშვილმა და საიღამ შეიტყუა მისი ან ავი, ან კარგი? საიღამ გაიგო, თუ როგორ მიდის სწავლის საქმე ამ სასწავლებელში, რანაირ წარმატებაში არიან მოსწავლეები, რა ნაირი მეთოდით ასწავლიან მასწავლებლები, რომ ბრძანებს: „სასამოვნო იქნებოდა, რომ მის სასწავლებელს წინ წავსწრო სასოფლო შკოლებისთვის, მაგრამ, საუბედუროდ, უკანაც ვეღარ მისდია!“

ნება მომეცით მოგახსენოთ, უ. პეტრიაშვილი, რომ თქვენ სჯით ისეთს საგანზე, რომელზედაც თქვენ არ გაქვსთ არაერთი ცნობა: არ გინახავსთ თვლით, ყურით არა გსმენიათრა მისი და ერთი სიტყვით,

თქვენ იმ საგნის არა გავგებთ რა და ჰჯით კი ისე, ვითომც ეს საგანი თქვენ დაახლოებით იცოდეთ.

ზეითხარით, რა საფუძველზე შეადგინეთ თქვენ თქვენი დასკვნა, შესახებ მის სასწავლებლისა, ან რა უფლება გქონდათ, რომ სასწავლებელს აგეთი ცილი შეჰსწამეთ?

როგორ გგონიათ, უ. პეტრიაშვილი! მისი ორკლასიანმა სასწავლებელმა, რომ სასოფლო შკოლებს წინ წავსწროს წარმატებით, დიდი ღვაწლი იქნება მისი მხრით? დიდ წარმატებას იზამს ის? მინ გაატოლა ეს სასწავლებელი და სასოფლო შკოლები ერთად, ან რა შედარება უნდა იქნეს მათ შორის მაშინ, როდესაც პირველი უკანასკნელზე ბევრათ მალა უნდა იდგეს და კიდევაც სდგას როგორც სწავლით ისრე მატერიალური საშუალებით?

რაიკა შეეხება მას, რომ ვითომც მის სასწავლებელში მყოფი ენემ მოსწავლეთაგან გადმოსულიყოს თქვენს შკოლაში, უ. პეტრიაშვილი, ან სხვაგან სადმე, მოგახსენებთ: ჩვენ თუკაც არ ვიცით ნამდვილად, ვინ მათგანი სად შევიდა და ან როდის, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ შკოლაში ჩვენის სასწავლებელიდან სახეირო არავინ შემოვიდა.

მინ არ იცის, რომ ყმაწვილს დაღმართის ჩარბენა უფრო ეხალისება, მინემ აღმართის; ვინ არ იცის, რომ იმას თავისუფლება და მიწა-წყალი სირბილი უფრო მოსწონს, მინემ სწავლა, რომლის სიყვარული ჯერ გულში მას კარგათ არ ჩაეარდნია; ვინ არ იცის ისიც, რომ ზარმაცს უქმად ყოფნა და ძილი უყვარს. ჩვენს სასწავლებელში, როგორც ყოველგან, ამ თვისებების მექანი მოსწავლეები, შეიძლება იყვნენ, მაგრამ, რადგანაც ამ სასწავლებელში მათ, ვითარცა ზარმაცთა, ადგილი არ ჰქონდათ და ამასთანავე გაიგეს კიდევ, რომ სხვა რომელსამე შკოლაში ისინი თავის სურვილს დაუბრკოლებლად აღასრულებდნენ, ამისთვის რათ გიკვირსთ, რომ შეიქნენ სხვა შკოლის სტუდენტები საქეფოთ...
მის სასწავლებ. ზედახედვ. მ. შანიძე

ნარევი

ლონდონის უნივერსიტეტში ოთხმა ქალმა შესარულა სწავლა იურიდიკულ ფაკულტეტზე. მათი იმთავანი ერთს იქაურ გამოჩენილს ადვოკატს დაუბატონია თავის თანამეგობრებთან და, როგორც ამბობენ, იმდენი პრაქტიკა აქვს და იმდენ ფულს იგებს, რამდენსაც დიდი ხნით გამოცდილი ადვოკატები-კაცები ვერ პოულობენო.

უკანასკნელ ომიანობის დროს ერთი ფრანკუნის სერჟენტი მოჰკლეს. ამ სერჟენტის მამა მას აქეთ თითქმის ჰკულიდამ შეიშალა თურმე, მუდამ იმაზე ჰფიქრობდა — თუ როგორ გადაუხადო ნემეცებს ჩემი შვილის მოკვლაო. ბოლოს ის წავიდა ნემეცებისაგან ახლად დაპყრობილს ალჟასში და იქ ერთი ნემეცის უნტერ-აფიცარი მოჰკლა სწორეთ ამ ხნისა და იმ ჩინის, როგორც იმის შვილი იყო. ნემეცებმა დაიჭირეს ეს კაცი და ხუთი წლით საპყრობილეში ჩასვეს, თუმცა ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ის სრული ჰკუთის არ არისო.

მის პარიველ მოხუცებულ ვაჭარს ლამაზი, კონტა ცოლი ჰყვასდა. მშარმა რამდენჯერმე შენიშნა, რომ ახალგაზდა ცოლი მართო იმის ალურს არ სჯერდებოდა და ხშირად იუტრებოდა პირ-და-პირ ფანჯარაში, სადაც ერთი ყმაწვილი პარიკაზხერის მალაზია იყო ბოლოს იმან მოინდომა ზედ შეცოდების დროს დაჭრა თავს ცოლისა და ამ განზრახვით ერთხელ გამოუცხადა იმას, რომ სამი დღით სხვაგან სოფელში მივიდვარო; თვითონ კი წაიდა, ერთი მფეფტონე მოიქრთა, ტანისამოსი გამოართვა, ჩიცვა, იმის ფეტოზე დაჯდა და პირ-და-პირ თავის სახლის კარებთან გაუყოლა ფუტონით. ცოტა ხანს შემდეგ, იმის სახლიდან გამობრძანდა გამოპრანჭული ცოლი, ჰკითხა: თავისუფალი ხარ, მფეფტონე, თუ არაო? როცა თავისუფალი ვარო, უპასუხა, ჩაჯდა შიგ და უბრძანა, პირ-და-პირ აი, იმ პარიკაზხერთან მივიყვანო. მფეფტონემ მიიყვანა მზაკურთლის სიკლით. არ გასულა ორი მინუტი, იმის მოწინააღმდეგე პარიკაზხერი გამოვიდა და იმის ცოლთან ჩაჯდომას რომ აპირებდა, უცრად ვიხილამ რეველვერი გამოუფარა. მშარს ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ მეტი რა გზა იყო, უნდა თავის ბედს და მოჩინებოდა. მასწია, როგორც უბრძანეს, ქალაქს გარეთ. მზაზე, ისეთ ნაირად ადღევებული იყო, რომ მეორე ფეტონს დაეჯახა და დაამტვრია; პოლიციამ ხელი სტაცა და წაათრეს. ცოლი და იმის საყვარელი კი მეორე ფეტონში ჩაჯდნენ და პარიკს გარეთ გასწიეს საქეფოთ...
პარე გუნებაზე იქნებოდა ქმარი განა?!

განცხადებანი

უ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარკომო სარდაში, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:

- ქარაქი — გირვანქა — 50 კაპ.
- ნაღები — — — — 40 —
- სმეტანა — — — — 30 —
- შველი — — — — 15 —
- ტვაროგი, ხაქო — — — 10 —
- რძე — — — — — 6 —
- მაწონი — — — — — 5 —

სარდაფი იყიდება პრევის მადანზე, სეპინარის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

(5-2)

„ვხედავანდ ენსამეცე სამსენიანდებ
ამ
ეფსამსენიანდ ნაყინდ სამსენიანდ

ს ო რ ო ო ო ო

ენსანდ აყეყ ამ ენსენდ

გამოვიდა და ისყიდება მფილისში ქვე. ხელაძის სტამბაში:

ს ა მ ი ჯ ნ უ რ ო მ ი წ ე რ ა მ ო წ ე რ ა
ქ ა ლ - ვ ა შ ქ ი ს ა

შასი ყველგან ერთი შაური გამოცემული

ქვე. ხელაძისაგან. ჩქარა გაიგზავნება სხვა ქალაქებში: ბორში — მ. ქანდელაკთან. შუთაისში — მ. ასათიანთან (სასულიერო სასწავლებელში) და უსეიმონ ჩომბიძესთან. მსურვეთში თ. ანტონ ნაკშიძესთან და ქაჯბა ბოგვაძის მალაზიაში.

გუზბალტარსა და კორრესპონდენტს, რომელსაც კარგი ვაჭრული განათლება მიუღია ჰსურს აძლიოს ვაკევი თილები მრკმცი გუზბალტარისა (გუზბალტარისა ბუხარეთისა) იტალიურის და ინგლისურის მეტოდით — რუსულს და ნემეცურს ენაზე. ასწავლის ბანკების, კომისიონერის, ფაბრიკის და ფინანსის ბუხალტერიას. შეუძლია ადგილიც დაიჭიროს სადმე.

შურო დაწერილებით ცნობების შეტყუება ამ საგანზე შეიძლება საკერავი მაშინების პანცერის მალაზიაში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, დილის 10 საათიდან ვიდრე 12-მდე.

რ. ბ. ზ. ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	სეცხლის გეგმა	შოშბა	ბირჟა	მან. კაპ	მახანდა	მან. კაპ
მფილისი	11 18	8			ა) შოთიღამ:	ა) მფილისიღამ:	პეტერბურგი, 9 მაისს.		მფილისი, 12 მაისს	
მცხეთა	18 87	10			მდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 20
ბორი	91 39	1 43	2	68 - 38	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/2 პენსი.	84	ქერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3	92 2 18	ბ) სოხუმშიღამ:	ოთხშ., მსურვეთს — პარასკ და	პარიჟში 348 სანტიმი.	89	ბამბა პრევისისა, ფუთი.	4 50
ბეჟათუბანი	3 45		4	42 2 46	შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლისფასი)	6	— ამერიკისა, ფუთი.	6 65
შვირილა	6 49		5	81 3 23	მდესსა — კვირას, გათენებისას.	შ.ბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეტი 5%	100	ბაჰინტილი ბამბა ფთ.	8 —
მფილისი	7 55		6	75 3 75	შოთიღამ: I II III	ბ) შუთაისიღამ:	მოგებიანი(პირველისსეხი)	207 50	მატული თუშური ფთ.	6 50
სამტრედია	9 2		7	73 4 29	სოხუმშიღამი 4 3 1	მფილისისა და შოთისაკენ — ყოველ	მოგებიანი (მეორე სეხი)	203	— მარაქამისა ფთ.	3 60
ახ-სენაკი	10		8	57 4 76	ქერჩამდი. 20 50 15 50 5	დღე, კვირას გარდა. მსურვეთს —	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	11		9	75 5 42	ტაგანროგ. 34 27 8 60	ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	მფილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი.	4 —
					მდესსამდი. 38 30 9 60	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88 60	ქონის სანთელი ფუთი.	5 60
შოთი	7 38				ტელეგრაფი მ. კაპ	გ) ბორიღამ.	მოსკოვის (5%).	86 50	სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
ახ-სენაკი	9 11		1	18 - 66	მციხიტუვა მფილისიღამ:	შოველგან ყოველ დღე, კვირას	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	— 60
სამტრედია	10 12		2	6 1 14	მფილისისა, შოთს	გარდა.	მდესის სავაჭრო ბანკის.	222	— ცხვრისა, ლიტრა.	— 70
მფილისი	11 17		3	4 1 69	ბორს, ღუშეთს, სიღნახს	დ) შოთიღამ:	შოთი-მფილ. რკინ. გზის	133	სპირტი, ვედრო.	7 —
შვირილა	12 38		3	98 2 21	როსტოვს მდესსა მოსკოვს	შოველგან ყოველ დღე, კვირას	შეივბლის ცეცხ. გემების	560	შაქარი, კარგი ფუთი.	8 45
ბეჟათუბანი	3 27	ლაშე	5	33 2 96	პეტერბურგს, პარაშავს.	წიგნის გავზენარუსეთში:	ქაჯუხის და მეტკურის.	168	— ფენილი ფუთი.	6 90
სურამი	4 57	12 30	5	84 3 24	მსამალეთში, შვეიცარიასში	ღია წიგნის	პირე. საზღვევ. საზოგ.	665	შავა გრვალის ფუთი.	18 50
ბორი	7 23	3 31	7	36 4 9	იტალიაში და საფრანგეთში.	დაბეკდილის (სამი მისხალი) .	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	შეთი ქუნჯულისა ფთ.	6 50
მცხეთა	9 52		9	8 5 4	ინგლისში.		მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მქრო 1/2 იმპერიალი.	5 8 5
მფილისი	10 49	8 2	9	75 5 42						